მეხუთე კლასი

**ჯამური ქულა:** 100

**საკითხების რაოდენობა:** 40

ტესტი შედგება 4 სავარჯიშოსაგან. თითოეული მათგანი ამოწმებს მოსწავლის წერის, კითხვის, გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნას.

## #1 წაკითხულის გააზრება - Read the text and choose the correct answer

**ქულა:** 10

**საკითხი:** 5 (თითო 2 ქულა)

მოსწავლეს შეხვდება მოკლე, მარტივი ტექსტი ციფრულ ფინასებზე და მან უნდა შეარჩიოს სწორი პასუხი თითოეულ კითხვაზე სამი მოცემული პასუხიდან (A, B, C).
სავარჯიშო ამოწმებს წაკითხულის გააზრებისა და ტექსტიდან ძირითადი აზრის გამოტანის უნარს.

## #2 გრამატიკა - Grammar

**ქულა:** 30

**საკითხი:** 10 (თითო 3 ქულა)

მეორე დავალება ამოწმებს საბაზისო გრამატიკული ერთეულების ცოდნას. მოსწავლემ უნდა შეარჩიოს გრამატიკულად სწორი ფორმა წინადადებაში. სავარჯიშო მოიცავს დროების, ზმნის და ზედსართავი სახელების სწორად გამოყენების საკითხებს.

**მაგალითი:**

She ....  to work by bus.

A. go        B. goes        C. going

სწორია **B. goes.**

## #3 ლექსიკა და ზოგადი ცოდნა -Vocabulary

**ქულა:** 30

**საკითხი:** 10 (თითო 3 ქულა)

სავარჯიშო ამოწმებს მოსწავლის ლექსიკურ მარაგს, ზოგად ცოდნასა. მოსწავლეს უნდა შეეძლოს სიტყვათა მნიშვნელობების ამოცნობა.
კითხვები ეხება ცხოველებს, ფრინველებს, პროფესიებს, საგნებსა და მოქმედებებს.

**მაგალითი:**

Birds use ... to fly.

A. fur        B. wings        C. ears

სწორი პასუხია **B. wings.**

## #4 საერთო ენობრივი ცოდნა - General

**ქულა:** 30
**საკითხი:** 15 (თითო 2 ქულა)

ბოლო სავარჯიშო მოიცავს მრავალფეროვან კითხვებს, რომლებიც ამოწმებს მოსწავლის ზოგად გრამატიკულ ცოდნას (სინონიმები, ანტონიმები, მართლწერის წესები). სავარჯიშო ასევე მოიცავს მარტივ, ზოგად კითხვებს, რომელსაც უნდა უპასუხოს მოსწავლემ.

**მაგალითი:**

Which is the opposite of the word ***dirty***? - რომელია სიტყვა „ჭუჭყიანის“ საპირისპირო სიტყვა?
A. empty B. clean C. dark
სწორი პასუხია **B. clean.**

ტესტის შემდეგ დამატებით მოცემულია **ბონუს სექცია** - 5 შეკითხვა, თითო 4 ქულიანი. ეს ნაწილი საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ტესტში დაშვებული შეცდომები აანაზღაუროს დამატებითი ქულების საშუალებით.

დამატებით სამეცადინოდ პროფილებში შეგიძლიათ ნახოთ ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი კურსი.

მოსამზადებელ კურსს აქვს ოლიმპიადის **I ტურის მსგავსი სტრუქტურა**.
მოსწავლეს ეძლევა **1 საათი** ტესტის შესასრულებლად.
მთავარი უპირატესობაა ის, რომ მოსწავლეს შეუძლია:

- გადახედოს დაშვებულ შეცდომებს
- გააანალიზოს სუსტი მხარეები
- უკეთ მოემზადოს ოლიმპიადის I ტურისათვის